საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

WWW.MOH.GOV.GE

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

თბილისი 2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება – 3 გვ.

2. დამატებითი ინფორმაცია – 5 გვ.

3. ინფორმაცია ანალოგიური მომსახურები შესახებ (ნიმუში) დანართი N1 – 6 გვ.

4. ტექნიკური დავალება – 7 გვ.

5. მონაწილის რეკვიზიტები დანართი N2 – 17 გვ.

6. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვისშესახებ (პროექტი) – 18 გვ.

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საინჟინრო–საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობების ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის N3, სამხედრო დასახლებაში მდებარე (საკადასტრო კოდი N 01.19.25.001.021) არასასოფლო–სამეურნეო მიწაზე საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 101000 (ას ერთი ათასი) ლარს.
4. „საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

   გ)კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

   საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე პირი არ დაიშვება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.“
5. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
6. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
7. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
8. ანგარიშსწორების პირობები:

   ა) ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ; შემსყიდველის ხარჯით ს.ს.ი.პ. „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მეშვეობით ჩატარებული საპროექტო–საინჟინრო დასკვნის მიღების შემდეგ.

   ბ) აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების 30%–ის ოდენობით, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში; თანხის დანარჩენ ნაწილს მიმწოდებელი მიიღებს, შემსყიდველის ხარჯით ს.ს.ი.პ. „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მეშვეობით ჩატარებული საპროექტო–საინჟინრო დასკვნის მიღების შემდეგ.
9. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
10. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 101000 ლარს, რაც მოიცავს მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.
11. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
12. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლინდება კომისიური წესით, საკონკურსო კომისიის ხმათა უმრავლესობის პრინციპით; შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1. წარმოდგენილი ნამუშევრის ვიზუალურ–ფუნქციონალური მხარე და

ლუგარის ლაბორატორიასთან კომპოზიციური შესაბამისობა; 2. საბოლოო პროექტის მისაღებად საჭირო ვადები; 3. კონკურსანტის გამოცდილება; 4. საკონკურსო წინადადების ფასი.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:
    - √ საკონკურსო წინადადების ფასი, წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან, ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში;
    - √ ტექნიკური დავალების პირველი ეტაპით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
    - √ ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1–ის შესაბამისად, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის პროცედურით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
    - √ კონკურსანტის რეკვიზიტები საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N2–ის შესაბამისად.
    - √ ინფორმაცია მომსახურების მიწოდების (მეორე ეტაპი) ვადის შესახებ;
    - √ ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადებები და მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 10 მარტის 16:00 საათიდან 17:00 საათამდე დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144, მე-6 სართული, ოთახი N601.

პროექტი აკინძული უნდა იყოს A3 ფორმატის ალბომად (3 ეგზემპლარი) და თანდართული ქონდეს ელექტრონული ვერსია ჩაწერილი CD დისკზე (PDF ფორმატში)

ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მონაწილის დისკვალიფიკაციას.

დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არდაექვემდებარება ანაზღაურებას.

საკონკურსო პროცედურის ფარგლებში ელექტრონულ სისტემაში ატვირთული მასალა:

- **საკადასტრო გეგმა (საპროექტო ტერიტორიის მონიშვნით);**
- **არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია;**
- **გეოლოგიური დასკვნა**.
- **ტოპოგრაფიული გეგმა**.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ნათია ბერუაშვილი, ზურაბ ფესვიანიძე.
მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #144, (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მე-6 სართული, ოთახი 601.
ტელეფონი: (995 32) 2510014 – შიდა 0703, 0705.

<u>შენიშვნა:</u> *სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და კონკურსანტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.*

დანართი N1

ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, მის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული არანაკლებ 3 ანალოგიური პროექტის შესახებ. კონკურსანტს ანალოგიური მომსახურების გაწევის მხრივ შესრულებული უნდა ქონდეს საინჟინრო–საპროექტო მომსახურება საერთო ღირებულებით არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სახით. კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოხდეს მონაწილის მიერ მითითებული ინფორმაციის დასადასტურებლად ხელშეკრულების და მიღება–ჩაბარების აქტის დედნის ან შესაბამისი წესით ნოტარიუალურად დამოწმებული ასლის წარმოდგენა.

N	დამკვეთის დასახელება	ანალოგიური მომსახურების აღწერილობა და შინაარსი	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	შესრულების პერიოდი (დაწყება/დასრულების თარიღი)	შენიშვნა
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						

_____
ხელმოწერა,

_____
ბ/ა(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

ტექნიკური დავალება

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის N3, სამხედრო დასახლებაში მდებარე (საკადასტრო კოდი N 01.19.25.001.021) სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობების მშენებლობისათვის საჭირო საინჟინრო–საპროექტო მომსახურების შესყიდვა.

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული და სასაწყობო შენობების საერთო სავარაუდო ფართობი 8500 კვ.მ. აქედან 6000 კვ.მ. ადმინისტრაციული შენობის სავარაუდო ფართობი, ხოლო 2500 კვ.მ. საწყობის ფართობი.

<u>პირველი ეტაპი</u>

კონკურსანტების მიერ წარმოსადგენი მასალა:

1. განმარტებითი ბარათი (მოსაზრება არქიტექტურულ და კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე);
2. სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000;
3. გენგემა – მ. 1:500;
4. სართულების გენგმა – მ. 1:200;
5. ჭრილი – მ. 1:200;
6. ფასადები – მ. 1:200;
7. ვიზუალიზაცია (რენდერები);
8. ფოტომონტაჟი.
9. საბოლოო პროექტის წარმოდგენის ვადა;

პროექტი აიკინძოს A-3 ფორმატის ალბომად (3 ეგზემპლარი) და თან დაერთოს ელექტრო ვერსია ჩაწერილი CD დისკზე (PDF).

<u>პროექტში დამატებით გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობები:</u>

1. შენობა უნდა იყოს რკინაბეტონის კონსტრუქციის, ბლოკის კედლებით. ამასთანავე, ექსტერიერში გათვალისწინებულ უნდა იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლაბორატორიული შენობის ვიზუალი/გეგმარება;
2. პროექტში შეტანილ უნდა იყოს სუსტი დენები, სახანძრო და დაცვის სიგნალიზაცია, კომპიუტერული, სატელეფონო, სატელევიზიო ქსელი, კომუნიკაციების სისტემები. ასევე გათბობა-კონდიცირების და ვენტილაციის სისტემები; აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს ალტერნატიული ელექტროკვების წყაროს განთავსების ადგილი და სავარაუდო ღირებულება.
3. სართულების რაოდენობა გადაწყვეტილ უნდა იქნეს იმ თვალსაზრისით, რომ დაცული იყოს შენობის აშენების და ექსპლოატაციის ხარჯთეფექტურობის პრინციპი;
4. ლიფტების რაოდენობა და საჭიროება გათვალისწინებულ უნდა იქნას შენობის სართულიანობიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში შეთანხმდეს დამკვეთთან;
5. პროექტში უნდა აისახოს მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობიდან ლუგარის ლაბორატორიამდე, საკონტროლო პუნქტამდე, მსუბუქი კონსტრუქციის, ქარისა და წვიმისგან დამცავი მისასვლელი, ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ არსებული ღობის გასწვრივ;

6. ადმინისტრაციული შენობის საერთო ფართი უნდა იყოს სავარაუდოდ 6000 კვ.მ (სველი წერტილების, კორიდორების, კიბის უჯრედების და სხვა დამხმარე ფართის გათვალისწინებით);
7. შენობის ტექნიკური სპეციფიკაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური დეტალები (მათ შორის სველი წერტილები, კორიდორები, კიბის უჯრედები და სხვა), უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს და პროექტის დასრულებამდე სრულად უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;
8. პროექტი უნდა ჩაბარდეს კანონმდებლობით დადგენილ მშენებლობის ნებართვასთან ერთად;
9. ადმინისტრაციული შენობა და საწყობი განიხილება როგოც ცალ-ცალკე შენობები, მაგრამ პროექტის შედგენისას შესაძლებელია დაპროექტდეს, როგორც მომიჯნავე შენობები;
10. სასაწყობე ფართი – 2500 კვ.მ;
11. ტერიტორიის გეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალებების ადმინისტრაციულ და სასაწყობე შენობებთან შეუფერხებლად მისვლის და ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაჩერების (ავტოსადგომი) შესაძლებლობა. აგრეთვე საწყობთან სატვირთო მანქანების მისვლის და ტვირთის გადმოტვირთვის შესაძლებლობა.

მეორე ეტაპი
გამარჯვებული მონაწილის მიერ წარმოსადგენი საინჟინრო–საპროექტო მუშა-დოკუმენტაცის ნუსხა: (არჩეული პროექტი)

1. განმარტებითი ბარათი;
2. არქიტექტურული ნაწილი;
3. კონსტრუქციული ნაწილი;
4. ელ. მომარაგების პროექტი;
5. წყალმომარაგება -კანალიზაციის პროექტი;
6. გათბობა, კონდეცირება, ვენტილაციის პროექტი;
7. სუსტი დენები;
8. ტექნოლოგიური პროექტი;
9. ვერტიკალური გეგმარება და ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
10. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი;
11. ხარჯთაღრიცხვა;
12. გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვის გეგმა;
13. მიმწოდებელმა უსასყიდლოდ სამშენებლო სამუშაოების უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა (პირობები შეთამხდეს დამკვეთთან).

საპროექტო ხარჯთაღრიცხვა არ უნდა აღემატებოდეს 8 241 900 ლარს

შენიშვნა: ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ფართებს გააჩნიათ სარეკომენდაციო ხასიათი. დასაშვებია ცდომილება ±15% (საპროექტო ფართის ზრდა–შემცირება), შესყიდვის ობიექტის საპროექტო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საპროექტო ხარჯთაღრიცხვის პროპორციულად და ადექვატურად ცვლილება ±15%.

დამუშავდეს სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები, მოსაპირკეთებელ სამუშაოების უწყისი, იატაკის, ჭერების და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები.

<u>ცენტრის საშტატო განრიგი და ოთახების განაწილების ცხრილი</u>

	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	ოთახების რაოდენობა	სავარაუდო ფართი (კვ.მ.)	შენიშვნა
I	**ადმინისტრაცია**	**9**			
	გენერალური დირექტორი	1	1	45	+15 კვ.მ. მოსასვენებელი ოთახი და სველი წ
	გენერალური დირექტორის მოადგილე	1	1	20	
	გენერალური დირექტორის მოადგილე	1	1	20	
	გენერალური დირექტორის მოადგილე	1	1	20	
	გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში	1	1	20	
	გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში	1	1	15	
	მრჩეველი/სწავლული მდივანი	1	1	20	
	მრჩეველი	2			
II	**შიდა აუდიტის განყოფილება**	**3**			
	განყოფილების უფროსი	1	1	20	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	1			
III	**ადმინისტრაციული დეპარტამენტი**	**51**			
	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
1	**აპარატი**	**18**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
1.1.	**ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**	**4**			
	განყოფილების უფროსი	1	1	25	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	2			
1.2.	**საზოგადოებასთან/მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება**	**5**			
	განყოფილების უფროსი	1	1	20	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	1			
	სპეციალისტი (ცხელი ხაზი)	2	1	15	
1.3.	**საორგანიზაციო /პროტოკოლის განყოფილება**	**4**			
	განყოფილების უფროსი	1	1	25	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	2			
1.4.	**საქმისწარმოების განყოფილება**	**4**			

	განყოფილების უფროსი	1	1	25	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	2			
2	**იურიდიული სამმართველო**	**5**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	3	1	25	
	სპეციალისტი	1			
3	**ტექნიკური უზრუნველყოფის და ლოგისტიკის სამმართველო**	**27**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
3.1.	**ინფორმაციული ტექნოლოგიების და ელექტრონული საზჯანდაცვის განყოფილება**	**4**			
	განყოფილების უფროსი	1	1	30	
	მთავარი სპეციალისტი	2			
	უფროსი სპეციალისტი	1			
3.2.	**ტექნიკური მომსახურების განყოფილება**	**16**			
	განყოფილების უფროსი	1	1	20	
	მთავარი სპეციალისტი	2			
	უფროსი სპეციალისტი	10	1	60	
	სპეციალისტი	3	1	20	
3.3.	**ლოგისტიკის განყოფილება**	**6**			
	განყოფილების უფროსი	1	1	36	
	მთავარი სპეციალისტი	2			
	უფროსი სპეციალისტი	2			
	სპეციალისტი	1			
IV	**საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი**	**16**			
	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
1	**საფინანსო სამმართველო**	**4**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	20	
	უფროსი სპეციალისტი	1			
2	**ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველო**	**4**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	20	
	უფროსი სპეციალისტი	1			
3	**შესყიდვების სამმართველო**	**7**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	

	მთავარი სპეციალისტი	4	1	36	
	უფროსი სპეციალისტი	2			
V	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი**	**20**			
1	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
	საზოგადოებრივი ჯანრთელობის პოლიტიკის და ანალიზის განყოფილება	**3**			
	განყოფილების უფროსი	1	1	20	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	1			
2	**სახელმწიფო პროგრამების სამმართველო**	**13**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
2.1.	**საზოგადოებრივი ჯანრთელობის პროგრამების მართვის განყოფილება**	**7**			
	განყოფილების უფროსი	1	1	40	
	მთავარი სპეციალისტი	2			
	უფროსი სპეციალისტი	4			
2.2.	**ანგარიშგების განყოფილება**	**5**			
	განყოფილების უფროსი	1	1	30	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	3			
3	**რეგიონული მართვის განყოფილება**	**3**			
	განყოფილების უფროსი	1	1	20	
	მთავარი სპეციალისტი	1			
	უფროსი სპეციალისტი	1			
VI	**სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი**	**20**			
	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
1	**რუტინული სტატატისტიკის სამმართველო**	**9**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	50	
	უფროსი სპეციალისტი	3			
	სპეციალისტი	3			
2	**რეგისტრების წარმოების და კლასიფიკატორების სამმართველო**	**5**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	1	1	25	
	უფროსი სპეციალისტი	3			

3	**მონაცემთა ანალიზის, წარდგენის და ბიოსტატისტიკის სამმართველო**	**5**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	1	1	25	
	უფროსი სპეციალისტი	1			
	სპეციალისტი	2			
VII	**გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტი**	**43**			
	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
1	**აივ/შიდსი, ტუბერკულოზის, სგგდ და ჰეპატიტების სამმართველო**	**8**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	45	
	უფროსი სპეციალისტი	2			
	სპეციალისტი	2			
	დამხმარე სპეციალისტი	1			
2	**მართვადი, რესპირატორული და ზოონოზური დაავადებების სამმართველო**	**12**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	5	1	70	
	უფროსი სპეციალისტი	3			
	სპეციალისტი	2			
	დამხმარე სპეციალისტი	1			
3	**ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლით და საკვებით გადაცემადი დაავადებების და პარაზიტოლოგიის სამმართველო**	**9**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	3	1	50	
	უფროსი სპეციალისტი	3			
	სპეციალისტი	2			
4	**იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის სამმართველო**	**7**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	35	
	უფროსი სპეციალისტი	3			
	სპეციალისტი	1			
5	**ვაქცინების ექსპედიციის და ცივი ჯაჭვის სამმართველო**	**6**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	1	1	30	

	უფროსი სპეციალისტი	2			
	სპეციალისტი	2			
VIII	**რეგიონული ლაბორატორიული დეპარტამენტი**				
	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
IX	**არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტი**	**33**			
	დეპარტამენტის უფროსი	1	1	15	
1	**ქრონიკული დაავადებების სამმართველო**	**9**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	4	1	50	
	უფროსი სპეციალისტი	2			
	სპეციალისტი	2			
2	**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამმართველო**	**5**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	25	
	უფროსი სპეციალისტი	1			
	სპეციალისტი	1			
3	**ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველო**	**13**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	6	1	76	
	უფროსი სპეციალისტი	4			
	სპეციალისტი	2			
4	**გარემოს ჯანმრთელობის სამმართველო**	**5**			
	სამმართველოს უფროსი	1	1	11	
	მთავარი სპეციალისტი	2	1	25	
	უფროსი სპეციალისტი	2			
	სულ საშტატო ერთეული		**64**	**1,487**	

X	**ვოლტერ რიდის არმიის კვლევის ინსტიტუტი**				
	ინდივიდუალური ოფისი		1	15	
	ინდივიდუალური ოფისი		1	15	
	ინდივიდუალური ოფისი		1	12	
	ინდივიდუალური ოფისი		1	12	
	ინდივიდუალური ოფისი		1	12	
	კომპიუტერული ქსელი		1	12	
	საკონფერენციო 12 ადამიანზე		1	36	

	საწყობი		3	30	
	ღია სივრცე 20 სამუშაო ადგილისთვის		1	50	
	სულ		**11**	**194**	
XI	**CDC**	**14**			
	სასწავლო პროგრამის მრჩეველი	2	1	**15**	
	სამედიცინო ოფიცერი	1	1	**12**	
	მოადგილე	1	1	**12**	
	ვეტერინარი	1	1	**12**	
	იმუნიზაციის საკითხების ექსპერტი	1	1	**12**	
	თანამშრომელი	3	1	**20**	
	თანამშრომელი	3	1	**20**	
	თანამშრომელი	2	1	**15**	
	სასწავლო ოთახი 25-30 სტუდენტზე		1	**50**	
	სამზარეულო		1	**10**	
	სულ		**10**	**178**	

	ორგანიზაცია	საშტატო ერთეული	ოთახების რაოდენობა	სავარაუდო ფართი (კვ.მ.)	შენიშვნა
	ცენტრის საშტატო ერთეული	**195**	**64**	**1487**	
	ცენტრის შტატგარეშე თანამშრომლები	**50**	**14**	**300**	
	დიდი (250 $м^2$) და მცირე (60 $м^2$) დარბაზი, დიდ დარბაზთან სასადილო (60 $м^2$)სატრენინგო ოთახები 2 (100 $м^2$), სასწავლო ოთახები 2 (60 $м^2$), სათათბირო 2 (60 $м^2$), საინტერვიუ (30 $м^2$), სერვერი (30 $м^2$), ტექნიკური ოთახები (100 $м^2$)		**14**	**660**	
	ვოლტერ რიდის არმიის კვლევის ინსტიტუტი		**11**	**194**	
	CDC	**14**	**10**	**178**	
	სულ სამუშაო ფართობი ადმინისტრაციულ შენობაში		**113**	**2819**	
	სულ საწყობი (ცალკე შენობა)			**2500**	

შენიშვნა:

ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ფართებს გააჩნიათ სარეკონდაციო ხასიათი. დასაშვებია ცდომილება ±15%.

<u>პროექტში დამატებით გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობები:</u>

1	შენობა უნდა იყოს რკინაბეტონის კონსტრუქციის, ბლოკის კედლებით. ამასთანავე, ექსტერიერში გათვალისწინებულ უნდა იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლაბორატორიული შენობის ვიზუალი/გეგმარება;
2	პროექტში შეტანილ უნდა იყოს სუსტი დენები, კომუნიკაციების სისტემები. ასევე გათბობა, კონდიცირება, ვენტილაციის სისტემები;
3	სართულების რაოდენობა გადაწყვეტილ უნდა იქნეს იმ თვალსაზრისით, რომ დაცული იყოს შენობის აშენების და ექსპლოატაციის ხარჯთეფექტურობის პრინციპი;
4	ლიფტების რაოდენობა და საჭიროება გათვალისწინებულ უნდა იქნას შენობის სართულიანობიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში შეთანხმდეს დამკვეთთან;
5	პროექტში უნდა აისახოს მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობიდან ლუგარის ლაბორატორიამდე, საკონტროლო პუნქტამდე, მსუბუქი კონსტრუქციის, ქარისა და წვიმისგან დამცავი მისასვლელი, ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ არსებული ღობის გასწვრივ;
6	ადმინისტრაციული შენობის საერთო ფართი უნდა იყოს სავარაუდოდ 6000 კვ.მ (სველი წერტილების, კორიდორების და სხვა დამხმარე ფართის გათვალისწინებით);
7	შენობის ტექნიკური სპეციფიკაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური დეტალები (მათ შორის სველი წერტილები, კორიდორები და სხვა), უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს და პროექტის დასრულებამდე სრულად უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;
8	პროექტი უნდა ჩაბარდეს კანონმდებლობით დადგენილ მშენებლობის ნებართვასთან ერთად;
9	ადმინისტრაციული შენობა და საწყობი განიხილება როგოც ცალ-ცალკე შენობები, მაგრამ პროექტის შედგენისას შესაძლებელია დაპროექტდეს, როგორც მომიჯნავე შენობები;
10	სასაწყობე ფართი – 2500 კვ.მ
11	ტერიტორიის გეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალებების ადმინისტრაციულ და სასაწყობე შენობებთან შეუფერხებლად მისვლის და ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაჩერების (ავტოსადგომი) შესაძლებლობა. აგრეთვე საწყობთან სატვირთო მანქანების მისვლის და ტვირთის გადმოტვირთვის შესაძლებლობა.

<u>სასაწყობე შენობის ფართობები დ</u>
<u>განაწილება</u>

	საწყობი	სავარაუდო კვადრატურა	ოთახების რაოდენობა	შენიშვნა
	I. სააგენტო			
	სააგენტო	500		
	II. ლოჯისტიკა			
	მშრალი საწყობი მედიკამენტებისთვის	300		
	მშრალი საწყობი სხვა საქონელისთვის	280		
	სამუშაო ოთახი	15	1	
	ოთახ-მაცივრისთვის	25	1	
	ოთახი პატარა მაცივრებისთვის	30	1	
	III. იმუნიზაცია			
	ოთახ-მაცივრებისთვის (7 მაცივარი 3,2x2,2 მ)	200		
	მშრალი საწყობი ერთჯერადი ნემსებისთვის	350		
	ოთახი პატარა მაცივრებისთვის (15 მაცივარი)	40	1	
	ვაქცინების გასაცემი ოთახი (მისაღები)	60	1	
	სამუშაო ოთახი	20	1	
	სამუშაო ოთახი	30	1	
	მშრალი საწყობი მაცივრებისთვის და აპარატურისთვის	150		
	IV. DTRA-ს პროგრამის ფარგლებში არსებული საჭიროებისათვის	500		
	სულ საწყობის ფართობი $მ^2$	2500		

საწყობები უნდა იყოს ცალცალკე შესასვლელებით. გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე საქონლის მიღების და დასაწყობების შესაძლებლობა.

დანართი N2

რეკვიზიტები

- პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტის მისამართი:
- მომსახურე ბანკი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი№3

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი) №

თბილისი „——“ „————— “ 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ს/კ N211333957 (თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. N144; საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ NTRESGE22; ა/ა N200122900) ---------- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ: ---------- ს/კ N ---------- საბანკო რეკვიზიტები: ---------- მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა კონკურსის მეშვეობით, საინჟინრო–საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება ————————— (——————————) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მდებარე ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის N3, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი N01.19.25.001.021) ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობების მშენებლობისათვის საჭირო საინჟინრო–საპროექტო მომსახურების შესყიდვა.

3.2. „მიმწოდებელი“-ს მიერ კონკურსის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრული საინჟინრო–საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1. „მიმწოდებელი“ განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევას ხელშეკრულების გაფომებიდან _____;

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ; შემსყიდველის ხარჯით ს.ს.ი.პ. „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს“ მეშვეობით ჩატარებული საპროექტო–საინჟინრო დასკვნის მიღების შემდეგ.

5.3 აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების 30%–ის ოდენობით, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში; თანხის დანარჩენ ნაწილს მიმწოდებელი მიიღებს, შემსყიდველის ხარჯით ს.ს.ი.პ. „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს“ მეშვეობით ჩატარებული საპროექტო–საინჟინრო დასკვნის მიღების შემდეგ.

5.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება ს.ს.ი.პ. „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს“ მეშვეობით ჩატარებული საპროექტო–საინჟინრო დასკვნის მიღების შემდეგ და ფორმდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სრულად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა და მისი დამთავრება დადგენილ ვადებში.

7.1.4. მომსახურების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო ქვეყანაში მოქმედი და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს მაღალკვალიფიციურ დონეზე, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვით.

7.1.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მითითების შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, შემსყიდველის მხრიდან რაომე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, თუ ეს ცვლილება არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

7.1.7. ხელშეკრულების მიმდინარეობისას პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგინოს მომსახურების გაწევის შუალედური ანგარიში (ესკიზები, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ.).

7.1.8. შემსყიდველის მიერ ს.ს.ი.პ. „ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს“ მეშვეობით ჩატარებული საპროექტო–საინჟინრო დასკვნის შედეგად შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული გამოვლენილი ხარვეზები და ნაკლი გამოასწოროს საკუთარი ხარჯებით.

7.1.9. მიმწოდებელმა უსასყიდლოდ უნდა უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაობის საავტორო ზედამხედველობა სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულების მიმდინარეობისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა.
- დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- მიაწოდოს სრული და დროული ინფორმაცია პროექტირებისათვის.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
- აწარმოოს შესრულებული მომსახურების ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;
- განახორციელოს შესრულებული მომსახურების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით,

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებებით შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 6%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი;
14.2. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს/კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომლები: ანა გოგბერაშვილი, ნანი მეფარიშვილი და სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ტარიელ დანელია;
14.3. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შესრულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის წარმოდგენის ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების ამოქმედების საფუძველი, ხოლო მსგავსი დარღვევების განმეორების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
14.4. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე შემსყიდველის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე;
14.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებლის მიერ გამოვლენილი ხარვეზები მიმწოდებელმა უნდა აღმოხვრას საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის _____ ჩათვლით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა
16.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
16.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, თუ მხარე სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;.

17. დასკვნითი პირობები
17.1. ხელშეკრულებას თან ახლავს ხელშეკრულების დანართი №__ და დანართი №__, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს
17.2. ხელშეკრულება და დანართები შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957 ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900	

_____